თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6694982

ნომერი: AR1992349

თარიღი : 28.09.2023

გაცემის თარიღი : 05.10.2023

გაცნობის თარიღი : 05.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩა, N 47ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევანი ნიკოლაძე პ/ნ 21001038645
- თრიალეთის ქუცა #4, კორ 6, ბ 34

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5047026 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 28 სექტემბერს №AR1992349 განცხადებით მომართა ქეთევანი ნიკოლაძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის

31 ივლისის №5047026 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5047026 ბრძანებით №01.14.08.009.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 12 აგვისტოს №5059025 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 12 აგვისტოდან 2022 წლის 27 თებერვლის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5047026 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილია საზაფხულო ფართობის დაფიქსირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს საზაფხულო ფართობი 110.6 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 1708.7 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 1819.3 კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საზაფხულო ფართობი შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ გეგმებზე ფიქსირდებოდა საზაფხულო ფართობები შესაბამისი კვადრატულობებით, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად არ იქნა ასახული სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5047026 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5047026 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5047026 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს საზაფხულო ფართობი 110.6 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1819.3 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5047026 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 31 ივლისის №5047026 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.